



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის N072/16¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

სტუდენტი გვანცა მაისურაძე

ფაქტები:

2016 წლის 10 აპრილს საჩივრის ავტორებსა (შემდგომში კლიენტები) და ადვოკატს შორის დაიწყო ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე. ადვოკატს საადვოკატო მომსახურება უნდა გაეწია ყველა სახელმწიფო უწყებასა და ორგანიზაციაში, კერძო და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართლებრივი დავების საქმეებზე.

2016 წლის 25 აპრილის სასამართლო განჩინებით კლიენტებს უარი ეთქვათ სარჩელის (შრომითსამართლებრივ დავაზე) წარმოებაში მიღებაზე. მათ აღნიშნული განჩინებების სააპელაციო წესით გასაჩივრების მიზნით მიმართეს ადვოკატს და მისცეს გასაჩივრებისათვის საჭირო სახელმწიფო ბაჟი. ადვოკატმა დაადასტურა, რომ განჩინება გაასაჩივრა. იგი 3 თვის განმავლობაში კლიენტებს ატყობინებდა, რომ განჩინებები გასაჩივრებული იყო და მიმდინარე პროცესებს სჭირდებოდა დრო, თუმცა მას განჩინებები არ გაუსაჩივრებია. ადვოკატი არ აწვდიდა კლიენტებს ინფორმაციას მათი საქმეების მიმდინარეობის თაობაზე, უფრო მეტიც, მან შეწყვიტა საადვოკატო მომსახურების მათთვის ინფორმაციის მიწოდების გარეშე და ამავდროულად შეწყვიტა კლიენტებთან კომუნიკაცია. ადვოკატმა წინსაწარ მიიღო შეთანხმებული საზღაურის ნაწილი, თუმცა მას საადვოკატო მომსახურებისთვის მიღებული საზღაურის სანაცვლო მომსახურება კლიენტისთვის არ გაუწევია.

ამავდროულად ადვოკატი იყო სისხლის სამართლის სპეციალიზაციის და იგი კლიენტებს სამოქალაქო საქმეებზე საადვოკატო მომსახურების გაწევის შესახებ, როგორც ადვოკატი ისე შეუთანხმდა; არ მიაწოდა კლიენტებს ინფორმაცია, რომ სისხლის სამართლის მიმართულებით იყო სპეციალიზირებული და მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში წარმომადგენლობის უფლებამოსილება ჰქონდა.

პროცესუალური ისტორია:

ეთიკის კომისიას საჩივრით მომართეს კლიენტებმა და მოითხოვეს ადვოკატისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5, მე-6 და მე-15 ნაწილების; ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი და მე-5 მუხლის ქვეპუნქტის შესაძლო დარღვევებთან დაკავშირებით.

სამართლებრივი შეფასება:

კომისიის შეფასებით კლიენტთა სამოქალაქო საქმეებზე საადვოკატო მომსახურების გაწევის შესახებ შეთანხმებით და ინფორმაციის მიუწოდებლობით, რომ მას შესაბამისი სპეციალიზაცია არ ჰქონდა (გააჩნდა მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში წარმომადგენლობის უფლებამოსილება) დარღვეულია კვალიფიციურობისა და კეთილსინდისიერების პრინციპი.

¹ <https://gba.ge/pdf/5c62c060340c2.pdf/072.16%2015.06.17%20%20saqmianobis%20shechereba.pdf>



ადვოკატი ვალდებულია კლიენტს, როგორც ადვოკატმა, მომსახურება გაუწიოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ გაცემულ კვალიფიკაციის დამადასტურებელ მოწმობაში მითითებული სპეციალიზაციის მიხედვით, ხოლო თუ ის მომსახურებას ახორციელებს სამოქალაქო საქმეზე, მან უნდა განუმარტოს კლიენტს, რომ მას სპეციალიზაცია მინიჭებული აქვს სისხლის სამართალში და მას, მხოლოდ როგორც წარმომადგენელს აქვს უფლება წარმოადგინოს მისი ინტერესები სამოქალაქო საქმეზე.

ადვოკატის მიერ კლიენტებისათვის მათი საქმეების მიმდინარეობის თაობაზე ბოლო ინფორმაციის მიწოდებლობით, კლიენტებისათვის საადვოკატო მომსახურების მათთვის ინფორმაციის მიწოდების გარეშე შეწყვეტით და კლიენტებთან კომუნიკაციის შეწყვეტით, ადვოკატის მიერ დარღვეულია კეთილსინდისიერების, კვალიფიციურობის, ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებები. ადვოკატსა და კლიენტს შორის რწმუნებულების გაფორმების ან/და დავალების ხელშეკრულების საფუძველზე ადვოკატი იღებს ვალდებულებას კლიენტის სახელით და მის ნაცვლად განახორციელოს ყველა ის საპროცესო მოქმედება, რაც საქმისწარმოების პროცესში იქნება აუცილებელი გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული იმ საპროცესო მოქმედებებისა, რომლებიც უშუალოდ მარწმუნებელმა უნდა განახორციელოს. ადვოკატს წარმოეშობა ვალდებულებები სათანადოდ დაიცვას და წარმოადგინოს კლიენტის ინტერესები მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებშიეთიკის კომისიის შეფასებით, ვინაიდან, ადვოკატს საადვოკატო მომსახურებისთვის მიღებული საზღაურის სანაცვლო მომსახურება კლიენტისთვის არ გაუწევია, დარღვეულია გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნების ეთიკური ვალდებულება. კლიენტის მიერ გარკვეული მოცულობის სამუშაოს გასაწევად გადახდილი შეთანხმებული ჰონორარი, არ მიიჩნევა ადვოკატის მიერ სამართლიანად გამოუმუშავებულად, თუკი ადვოკატმა ვერ განახორციელა საადვოკატო მომსახურება იმ მოცულობითა და ფარგლებში, როგორც ამას კლიენტთან შეთანხმება ითვალისწინებდა. კომისიის განარტებით, იმ შემთხვევაში, როდესაც ადვოკატს კლიენტისგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური სრულად, ხოლო მან ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი და ვალდებულია დარჩენილი თანხა დაუბრუნოს კლიენტს.

დასკვნა:

ეთიკის კომისიამ მიიჩნია რომ სახეზე იყო ადვოკატის მიერ ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5(ა), 6.2 მუხლების, და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.5, 8.6, 8.15 მუხლების დარღვევა. ადვოკატს სახდელის სახით დაეკისრა საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 6 თვის ვადით. ადვოკატს გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებია.